ხელშეკრულება №24

ყუთები/ბუდეები

(კლასიფიკაციის კოდი 44619100)

ქ. თბილისი ოქტომბერი 2019 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ „სახელმწიფო ენის დეპარტამენტი“ (შემდგომში - „შემსყიდველი”) მისი თავმჯდომარის გიორგი ალიბეგაშვილის სახით და მეორე მხრივ შპს „ამბარი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი”) დირექტორ ირაკლი გუჯაბიძის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია წინასწარ შეთანხმებული ფორმისა და დიზაინის, 5 ერთეული გრავირებული ხის ყუთი მედალიონისთვის, დამზადებისა და მიწოდების შესყიდვა 100 (ასი) ლარის საერთო ღირებულებით (ერთეულის ღირებულება შეადგენს 20 ლარს), დანართის შესაბამისად.

2. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

2.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული მედალიონების მიწოდება განხორციელდება 100 (ასი) ლარის ღირებულებით, საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის” მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

3. მომსახურების მიწოდება და მიღება-ჩაბარების წესი

3.1 მედალიონების მიწოდება განხორციელდება 2019 წლის 30 ოქტომბრამდე.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1 მისაწოდებელი საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის საფუძველზე, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით

„მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.

4.2 ანგარიშსწორება განორციელდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და შესყიდვის ობიექტის ხარისხის ინსპექტირება.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს მიაწოდოს შესყიდვის ობიექტი მოქმედი ნორმებისა და წესების დაცვით, სათანადო ხარისხის და სრული ტექნიკური უზრუნველყოფით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

ბ) შესყიდვის ობიექტის რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით ან არის ქარხნული წუნი, გონივრულ ვადაში საკუთარი ხარჯებით შეცვალოს აღნიშნული საქონელი ნორმალური საქონლით–ნივთით.

6. ცვლილებები

6.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.

6.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ
წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის
შესახებ.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით – ხელშეკრულების საერთო თანხის 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11. სხვა პირობები

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად (ერთი – „შემსყიდველს", ერთი – „მიმწოდებელს").

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი" სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი საიდენტიფიკაციო კოდი 205349979 ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას №7 ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE 22 ტ: 577 15 70 91 თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**	**„მიმწოდებელი"** შპს „ამბარი" ქ. თბილისი, ჭედიას ქ. #1 საიდენტიფიკაციო კოდი 405226508 ტ: 592 70 72 72 ელ-ფოსტა: giorgilatal@gmail.com სს „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა: GE83BG0000000611843500 **ირაკლი გუჯაბიძე**

Lepl state language department

Digitally signed by Lepl state language department
Date: 2019.10.15 14:32:23 +04'00'

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი ოქტომბერი 2019 წ.

ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

სსიპ ,,სახელმწიფო ენის დეპარტამენტის”

თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

შპს ,,ამბარი”

დირექტორი ირაკლი გუჯაბიძე